ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უცხოელებისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის სტატისტიკის ანალიზი

ანალიზი მომზადებულია პროექტ „საზოგადოების გაძლიერება კარგი მართველობის ხელშეწყობისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას

Visegrad Fund

Kingdom of the Netherlands

2018

ძირითადი ტენდენციები

- 2014 წლიდან 2017 წლამდე მცირდება უცხო ქვეყნის მოქალაქეების საზღვარზე არ შემოშვების რაოდენობა;

- ბოლო ორ წელს ყველაზე მეტჯერ ინდოეთის მოქალაქეებს უთხრეს უარი საზღვრის გადმოკვეთაზე;

- 2015 წელს უარის თქმის რაოდენობის ყველაზე მაღალი წილი თურქეთისა (33%) და აზერბაიჯანის (13%) მოქალაქეებზე მოდიოდა;

- ბოლო ოთხ წელიწადში ყველაზე მეტი უარი გაიცა თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, ირანისა და ინდოეთის მოქალაქეებზე. ამ ქვეყნის მოქალაქეებზე მოდის ბოლო წლებში უარის თქმის 58%.

- სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აღრიცხავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლებს.

უარის თქმის სტატისტიკა წლების მიხედვით

2014 წლიდან 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სულ 27,400-ჯერ უთხრეს უარი უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლაზე. 2014-2016 წლების მონაცემები ცხადყოფს, რომ უარის თქმის ფაქტების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა. კერძოდ, 2014 წელს საზღვრის კვეთაზე სულ 8,819 უარი დაფიქსირდა, 2015 წლის მაჩვენებელი 8,405-მდე ჩამოვიდა, 2016 წელს კი წინა წელთან შედარებით 32%-იანი კლება დაფიქსირდა და 5,711-ს გაუტოლდა. 2017 წელს პირველ ცხრა თვეში კი სულ 4,465-ჯერ უთხრეს უცხოელებს უარი ქვეყანაში შემოსვლაზე.



უარის თქმის სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით

ბოლო ოთხი წლის მონაცემებით ყველაზე ხშირად შემდეგი ქვეყნების მოქალაქეებს უთხრეს უარი საქართველოში შემოსვლაზე: თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ირანი, ინდოეთი, ერაყი, სირია, უზბეკეთი, სომხეთი და თურქმენეთი. სწორედ ამ ქვეყნის მოქალაქეებზე მოდის 2014-2017 წლებში უარის თქმის შემთხვევების უმეტესობა (80%), მაშინ როცა პირველი ხუთი ქვეყნის მოქალაქეების წილი 58%-ია. უარის თქმის ფაქტების საერთო რაოდენობიდან (27,400) თურქეთის მოქალაქეების შემთხვევები 4,565-ია (17%), აზერბაიჯანის - 3,299 (12%), რუსეთის - 2,774 (10%), ირანის - 2,665 (10%), ინდოეთის - 2,482 (9%), ერაყის - 1,895 (7%), სირიის - 1,540 (6%), უზბეკეთის - 1,290 (5%), სომხეთის - 979 (3%) და თურქმენეთის - 536 (2%).



2017 წლის პირველი 9 თვეში ყველაზე მეტჯერ ინდოეთის მოქალაქეს უთხრეს უარი (914 - წლის საერთო რაოდენობის 34%). ინდოეთის მოქალაქეებს მოჰყვებიან შემდეგი ქვეყნის მოქალაქეები: თურქეთი (573 – 13%), აზერბაიჯანი (507 – 11%), რუსეთი (349 – 8%), სირია (332 – 7%), უზბეკეთი (273 – 6%), თურქმენეთი (172 – 4%), პაკისტანი (146 – 3%), სომხეთი (120 – 3%) და ირანი (108 – 2%). ამ ქვეყნების მოქალაქეებისთვის უარის თქმის შემთხვევების წილი 78%-ია. მაშინ როცა, დანარჩენი 929 უარი (საერთო რაოდენობის 21%) საზღვარზე შემოშვებაზე 78 სხვადასხვა ქვეყნის მოქალქეზე გაიცა (ასევე, 42 შემთხვევა ეხებოდა მოქალაქეობის არმქონე პირს).



2016 წელსაც ყველაზე მეტი უარი ინდოეთის მოქალაქეებზე მოდის (1,109 – წლის საერთო რაოდენობის 19.4%). მათ მოსდევენ შემდეგი ქვეყნის მოქალაქეები: აზერბაიჯანი (1,086 – 19%), თურქეთი (564 – 10%), სირია (452 – 8%), რუსეთი (409 – 7%), უზბეკეთი (265 – 5%), სომხეთი (203 – 4%), ირანი (162 – 3%), თურქმენეთი (126 – 2%) და ერაყი (109 – 2%). მათზე მოდის ამ წლის უარის თქმის შემთხვევების 79%. შედარებისთვის, ამ წელს დანარჩენი 90 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეს 1196-ჯერ ეთქვა უარი (21%) (დამატებით 30 ფაქტი ეხებოდა მოქალაქეობის არმქონე პირს).



2015 წელს შემდეგი ტენდენცია დაფიქსირდა: თურქეთი - 2,764 (წლის საერთო რაოდენობის 33%), აზერბაიჯანი - 1,063 (13%), რუსეთი - 776 (9%), სომხეთი - 521 (6%), ირანი - 509 (6%), სირია - 402 (5%), ინდოეთი - 306 (4%), ნიგერია - 243 (3%) და უზბეკეთი - 233 (3%). შედეგად, ამ ქვეყნების მოქალაქეებზე მოდის წლის საერთო სტატისტიკის 81%. ამ წელს კი საზღვარზე არშემოშვების დანარჩენი ფაქტები (1,331 – 16%) ნაწილდებოდა 91 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეზე (დამატებით 40 შემთხვევა ეხებოდა მოქალაქეობის არმქონე პირს).



2014 წელს საზღვარზე ხშირად უარს ირანისა და ერაყის მოქალაქეებს ეუბნებოდნენ. მათზე მოდიოდა წლის საერთო რაოდენობის 21% (1,886) და 18% (1,569), შესაბამისად. მათ მოსდევენ რუსეთის (1,240 - 14%), თურქეთისა (664 - 8%), აზერბაიჯანის (643 - 7%), უზბეკეთის (519 – 6%), სირია (354 – 4%), თურქმენეთი (166 – 2%), ყირგიზეთი (162 – 2%), საუდის არაბეთის (157 – 2%) მოქალაქეები, რომელთაც საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს. საერთო ჯამში, ამ ათი ქვეყნის მოქალაქეზე მოდის 2014 წელს უარის თქმის საერთო რაოდენობის 83%. მაშინ როცა, უარის თქმის დანარჩენი 1,398 ფაქტი სხვა 105 ქვეყანის მოქალაქეზე ნაწილდება (დამატებით 61 ფაქტი ეხებოდა მოქალაქეობის არმქონე პირს).


2014 წლის მონაცემები მოქალაქეობის მიხედვით
დანარჩენი, 1459, 17%
ირანი, 1886, 21%
საუდის არაბეთი, 157, 2%
ყირგიზეთი, 162, 2%
თურქმენეთი, 166, 2%
სირია, 354, 4%
უზბეკეთი, 519, 6%
ერაყი, 1569, 18%
აზერბაიჯანი, 643, 7%
თურქეთი, 664, 7%
რუსეთი, 1240, 14%



	2014	2015	2016	2017 (9 თვე)
ირანი	1886	509	162	108
ერაყი	1569	304	109	99
რუსეთი	1240	776	409	349
თურქეთი	664	2764	564	573
აზერბაიჯანი	643	1063	1086	507
სირია	354	402	452	332
ინდოეთი	153	306	1109	914
სომხეთი	135	521	203	120

საინტერესო ტენდენციები შეიძლება გამოიყოს იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის უარის თქმის მონაცემებიდან, რომლებიც ბოლო ოთხ წელს რაოდენობის მხრივ სტატისტიკის ხუთეულში ხვდებოდნენ. ასეთი შვიდი ქვეყნიდან, მხოლოდ სამის შემთხვევაში გამოიკვეთა საზღვარზე არშემოშვების ყოველწლიური კლების ტენდენცია: ირანი, ერაყი და რუსეთი. მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმოა ირანისა და ერაყის მოქალაქეების სტატისტიკა, რადგან 2014 წელთან შედარებით, 2016 წელს უარის თქმის შემთხვევები თითქმის 12-ჯერ და 14-ჯერ, შესაბამისად, შემცირდა.

აზერბაიჯანის და განსაკუთრებით, თურქეთის მოქალაქეები ყველაზე მეტჯერ 2015 წელს არ შემოუშვეს საქართველოს საზღვარზე. 2016 წელს აზერბაიჯანის მოქალაქეების შემთხვევაში

რიცხვი ოდნავ გაიზარდა, თურქეთის მოქალაქეებისთვის უარის თქმის ფაქტები კი მკვეთრად დაეცა (შემცირდა 5-ჯერ).

ინდოეთის მოქალაქეებზე უარის თქმის სტატისტიკა კი ყოველწლიურად იზრდებოდა: 2014 წელს ინდოეთის მოქალაქეებისთვის უარის თქმის რაოდენობა 153 უდრიდა, რომელიც შემდეგ წელს გაორმაგდა და 2016 წლიდან მის მოქალაქეებზე უარის თქმის რაოდენობა ყველა ქვეყნის იგივე მაჩვენებელს აღემატებოდა.

სომხეთის მოქალაქეებისთვის უარის თქმის შემთხვევები განსაკუთრებით 2015 წელს გაიზარდა (წინა წელთან შედარებით თითქმის 4-ჯერ გაიზარდა) და 521 შეადგინა. მომდევნო წელს კი 203-მდე ჩამოვიდა.

ამ შვიდი ქვეყნიდან შედარებით სტაბილურია და ოდნავ იზრდებოდა სირიის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ფაქტების რაოდენობა.

საგულისხმოა, რომ ამ წლებში საქართველოს საზღვარი ყველაზე მეტჯერ შემდეგი ექვსი ქვეყნის მოქალაქეებმა გადაკვეთეს: აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი, ირანი და უკრაინა. ზემოთხსენებული რვა ქვეყნიდან, რომელთა მოქალაქეებსაც ხშირად ეუბნებიან უარს საზღვრის გადმოკვეთაზე, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და რუსეთის შემთხვევაში ყოველწლიურად მილიონზე მეტი ადამიანი კვეთდა საქართველოს საზღვარს. თურქეთისა და ერაყის გარდა, ყველა შემთხვევაში იზრდებოდა საქართველოში შემომსვლელთა რიცხვი.



	2014	2015	2016	2017
სომხეთი	1 326.0	1 469.0	1 496.0	1 718.0
აზერბაიჯანი	1 283.0	1 393.0	1 524.0	1 695.0
რუსეთი	812.0	926.0	1 039.0	1 393.0
თურქეთი	1 443.0	1 392.0	1 257.0	1 247.0
ირანი	48.0	25.0	148.0	323.0
ინდოეთი	5.0	12.0	36.0	60.0
ერაყი	22.0	10.0	4.0	5.0
სირია	1.7	2.0	5.9	10.7

IDFI შეეცადა საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლებიც გაეანალიზებინა. თუმცა, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ინფორმაციას საფუძვლების მიხედვით არ აღრიცხავს. აღნიშნული ინფორმაციის წარმოება ხელს შეუწყობდა ამ მიმართულებით ქვეყნის პოლიტიკის გამჭვირვალობასა და საქართველოს შესახებ საინფორმაციო კამპანიის ეფექტურად დაგეგმვას. მეორე მხრივ, ნაკლებად გაჩნდებოდა კითხვები საქართველოს საზღვრების კვეთისას ცალკეული ქვეყნის მოქალაქეების მიმართ არამართლზომიერი მოპყრობის/გადაწყვეტილებების შესახებ.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობით პირს შემდეგი გარემოებების გამო შეიძლება ეთქვას უარი:

- აკრძალული აქვს ქვეყანაში შემოსვლა;

- არ გადაუხდია საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისათვის დაწესებული ჯარიმა;

- არ გააჩნია ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა;

- არ აქვს საქართველოში ცხოვრებისათვის და უკან დასაბრუნებლად საკმარისი ფინანსური სახსრები;

- არ იძლევა ან იძლევა ყალბ ინფორმაციას თავისი პიროვნებისა და მგზავრობის მიზნის შესახებ;

- მისი საქართველოში ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს, და სხვა.

ინფორმაციის მოპოვების მეთოდი

IDFI-მ აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მოეწოდებინათ ინფორმაცია:

- 2014-2017 წლებში საქართველოში შემოსვლაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის უარის თქმის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემები, მათი მოქალაქეობის და უარის თქმის საფუძვლების მიხედვით. მიღებული პასუხიდან დადგინდა, რომ სამწუხაროდ, სამინისტრო უარის თქმის ფაქტების სტატისტიკას საფუძვლების მიხედვით არ აწარმოებს.